



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გველესიანი გურამ გიორგის ძე

გველესიანი გურამ გიორგის ძე (23. II. 1928, თბილისი, – 2008), მეცნიერი მეტალურგიის დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979), საქართვ. მეცნ. აკად. ქიმიკისა და ქიმ. ტექნოლ. განყ.-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988). ტექ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985).

1950 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმ. ფაკ-ტი. 1953–57 მუშაობდა მოსკოვში, სსრკ მეცნ. აკად. ა. ბაიკოვის სახ. მეტალ. ინ-ტში, 1957-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. მეტალ. ინ-ტში, ჰერ უფრ. მეცნ. თანამშრომლად, შემდეგ (1961–80) მეტალ. პროცესების ფიზ. ქიმიის ლაბორ. ხელმძღვანელად, 1980–88 იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში.

გ-ის სამეცნ. შრომები ეხება მაღალტემპერატურული მეტალ. პროცესების თეორიის აქტუალურ საკითხებს, მყარი არაორგ. ნაერთების თერმოდინამ. კონსტანტებს. გ-ის გამოკვლევები ეძღვნება ლითონების მარტივი და რთული. უანგეულების, აგრეთვე ნარევების აღდგენის ფიზ.-ქიმ. საფუძვლების დადგენას. გ-ის ხელმძღვანელობით შესწავლილია მრავალი მსუბუქი, იშვიათი და იშვიათ მიწათა ლითონების უანგეულების კაკუუმში ლითონთერმული აღდგენის თერმოდინამიკა, კინეტიკა, მექანიზმი, ზოგიერთი მძიმე ფერადი ლითონის მარტივი და რთული უანგეულების ნახშირუანგით აღდგენის კანონზომიერებანი, მანგანუმის ფეროშენადნობთა მისაღები კაზმების ნახშირთერმული აღდგენის თეორ. საფუძვლები, მანგანუმისა და მისი შენადნობების დესულფურაციისა და დეფოსფორაციის თეორ. საკითხები, მყარი არაორგ. ნაერთები, განსაკუთრებით იშვიათ მიწათა ლითონების, მარტივი და რთული უანგეულების თერმოდინ. ფუნქციები. მონოგრაფიისათვის „ფოსფორთან მანგანუმის ურთიერთქმედების თერმოდინამიკა“

(თანაავტორი, რუს. ენაზე, 1982) მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (1984). შრომათა ციკლისათვის ავტორთა ჯგუფთან ერთად – საქართვ. სახელმწ. პრემია (1993). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხ8.: ნახევრად გამტარი და დიელექტრიკული მასალების ტექნოლოგია, თბ., 1976 (თანაავტ.); ნახევრად გამტარი მასალების ლაბორატორიული პრაქტიკუმი, თბ., 1977 (თანაავტ.); Закономерности металлотермического восстановления окислов в вакууме, Тб., 1972; Термодинамика кислородных соединений редкоземельных металлов при высоких температурах, Тб., 1983 (თანაავტ.).
